

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის

ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს

სხდომის ოქმი №16

თბილისი

18 მაისი 2015წ.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

პროფ. ილონა საყვარელიძე, თჰუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პროფ. მაკა კაჭარავა, პროფ. ნინო ორმოცაძე, ასოც. პროფ. ელენე ნიკოზაძე .

**სტუდენტები:** ინა დეისაძე.

**სხდომის თავმჯდომარე:** პროფ. ილონა საყვარელიძე

**სხდომის მდივანი:** გაიანე გრიგორიანი

**დღის წესრიგი:**

1. 2014-2015 სასწავლო წლის ყოველწლიურად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენი თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტზე რეალიზებული აკრედიტებული დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი და რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის შესახებ.

**მოისმინეს:** დღის წესრიგთან დაკავშირებით თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პროფესორი მაკა კაჭარავას ინფორმაცია 2014-2015 სასწავლო წლის ყოველწლიურად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენი თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტზე რეალიზებული

აკრედიტებული დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი და რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის შესახებ. მ.კაჭარავამ მოახსენა საბჭოს წევრებს, რომ ყოველწლიურ ანგარიშში შესაძლებელია მცირეოდენი ცვლილებების შეტანა, თუ ის განპირობებულია სასწავლო პროცესისა და პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელმა ასოცირებულმა პროფესორმა ილონა საყვარელიძემ განაცხადეს, რომ მიმდინარე წელს პროგრამებში არ იქნება შეტანილი არანაირი ცვლილება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში წარედგინება ცვლილებების გარეშე.

**აზრი გამოთქვეს:** პროფესორმა ნ. ორმოცაძემ, პროფ. ტ. ზუბიაშვილმა, ასოც. პროფ. ელენე ნიკობაძემ .

#### **დაადგინეს:**

1.თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტზე რეალიზებული აკრედიტებული დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი და რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების წარდგენა აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში მოხდეს მოდიფიცირების და ცვლილებების გარეშე.

2.აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

**ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:**

*ი. საყვარელიძე*

ი.საყვარელიძე

**სხდომის მდივანი:**



გ. გრიგორიანი